16/02/2026

MES 9 26 0000162386

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 12.02.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 11:45 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
მაკა მაისურაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;

ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ ბიბილაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელისაბედ ებრალიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება:
თამარ ლაცაბიძე - გაერთიანების დირექტორი;
თამარ ავალიშვილი - სასწავლო პროცესების კოორდინატორი;
ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღი:
თამარ კიკნაძე - საბავშვო ბაღის გამგე;
ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი:
მირანდა გელაშვილი - საბავშვო ბაღის გამგე;
ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი:
ზაირა ბარბაქაძე - საბავშვო ბაღის გამგე;

ნუგზარ მახათაძე - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის წარმომადგენელი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღი):
ა) ნათია კაციტაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ტატიანა ჯიქია - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ზაზაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) საბა კობახიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი):
ა) ნათია კაციტაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ტატიანა ჯიქია - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ზაზაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) საბა კობახიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი):
ა) ნათია კაციტაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ტატიანა ჯიქია - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ზაზაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) საბა კობახიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 12 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **დიახ**

ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო კაპანაძემ, დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს სხდომაზე მეოთხე საკითხად განხილულიყო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2026 წლის 27 იანვრის №72622 და №72649; 2025 წლის 05 დეკემბრის №1739995, №1740005, №1740016, №1740027, №1740035 და 2025 წლის 11 დეკემბრის №1776073 გადაწყვეტილებებში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხი. საბჭოს წევრებმა ერთხმად გამოხატეს თანხმობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის დამატებითი შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა ცვლილებით და წარმოდგენილი სახით:

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2026 წლის 27 იანვრის №72622 და №72649; 2025 წლის 05 დეკემბრის №1739995, №1740005, №1740016, №1740027, №1740035 და 2025 წლის 11 დეკემბრის №1776073 გადაწყვეტილებებში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია კაციტაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 08 და 09 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 25. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ტექნიკური ხარვეზის გამო, „ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემაში“, მეორე სტანდარტის შეფასებად მონიშნულია ორი ტიპის შეფასება, მათგან, რელევანტურია შეფასება - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტის შეუსაბამობის საკითხით.
სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, საბა კობახიძემ, განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის დროს გამოიკვეთა ხარვეზი, კერძოდ - ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრები დამონტაჟებული არ იყო კედელზე იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე, ხოლო აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე, არ წარმოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ან ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება, შესაბამისად, კომპონენტის

4.5 „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ შეფასება კვლავ დარჩა „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა რომ ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩათ მტკიცებულების წარმოდგენა, აღნიშნული ხარვეზი უკვე გამოსწორებულია.
საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წყალმომარაგების სისტემით.
სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის წარმომადგენელმა, ნუგზარ მახათაძემ, განმარტა, რომ საღანძილის საბავშვო ბაღი მარაგდება ცენტრალიზებული წყლით, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აქვს რეზერვუარი, რომელსაც წელიწადში ორჯერ უტარდება დეზინფექცია. ასევე, ტარდება წყლის ლაბორატორიული კვლევაც და ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, დაწესებულების სტატუსის მაძიებელი მარაგდება ნაყიდი, დაბეჭდილი წყლით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, შემდგომი გათვალისწინებისთვის, ტერმინ ,,ლოგოპედთან“ მიმართებით განაცხადა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ სტანდარტის შესაბამისად, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის შემადგენლობაში შედიან: სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი. ლოგოპედია კი - არის კორექციული პედაგოგიკის დარგი და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები არ ითვალისწინებს ასეთ პოზიციას. გამომდინარე აქედან, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ აღნიშნულ პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადების დროს ტერმინთა გამოყენება უნდა მოხდეს სტანდარტის შესაბამისად. ასევე, ავტორიზაციის ექსპერტების მხრიდანაც, ამ ტერმინის გამოყენებით მიზანშეწონილია გაიცეს რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 10:53
დასრულების დრო - 10:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 25-ით განსაზღვრის საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 12 თებერვალი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №18 სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 12 თებერვალი.

საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 29 იანვრისა. აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპონენტის 4.5 „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ შეფასება შეიცვალოს შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტის შეფასება - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია კაციტაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 და 11 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 25. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით - „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტის შეუსაბამობით.
სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, საბა კობახიძემ, განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დოკუმენტურად არ ჰქონდა წარმოდგენილი დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა, ხოლო აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე, არ წარმოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ან ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება, შესაბამისად, კომპონენტის 4.5 „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ შეფასება კვლავ დარჩა „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმმადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით მტკიცებულების წარმოდგენა, ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩათ, უკვე მოგვარებულია პრობლემა და აქვთ შესაბამისი დოკუმენტი.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა ტრანზიციის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აქვთ ღია კარის დღეები, რამდენიმე დღის განმავლობაში, რომლის ფარგლებშიც მშობლები და ბავშვები ათვალიერებენ შენობას.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, ასევე დაინტერესდა, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჰყავთ შესაბამისი სპეციალისტები, ასევე, დაბა ხარაგაულში არის ადრეული განათლების ცენტრი, რომელთანაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელი თანამშრომლობს საჭიროების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:10
დასრულების დრო - 11:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 25-ით განსაზღვრის საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 12 თებერვალი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 12 თებერვალი.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 29 იანვრისა. აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპონენტის 4.5 „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები" შეფასება შეიცვალოს შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტის შეფასება - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ

საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია კაციტაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით - „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტის შეუსაბამობით.
სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, საბა კობახიძემ, განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დოკუმენტურად არ ჰქონდა წარმოდგენილი დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა, ხოლო აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე, არ წარმოუდგენია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ან ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება, შესაბამისად, კომპონენტის 4.5

„სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ შეფასება კვლავ დარჩა „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით მტკიცებულების წარმოდგენა, ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩათ, უკვე მოგვარებულია პრობლემა და აქვთ შესაბამისი დოკუმენტი.
საბჭოს მდივანი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი ჭურჭლის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაწილობრივ მოგვარებულია ჭურჭელთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზები, ხოლო სასწავლო წლის ბოლომდე უკვე სრულად აღმოიფხვრება.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა ბავშვთა შეფასების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აქვთ შესაბამისი დამტკიცებული ბავშვთა შეფასების ფორმები, რომლებიც ივსება წელიწადში ორჯერ და ინფორმაცია მიეწოდებათ მშობლებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:26
დასრულების დრო - 11:29

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 12 თებერვალი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №5 სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით

მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2026 წლის 12 თებერვალი.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 29 იანვრისა. აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპონენტის 4.5 „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“ შეფასება შეიცვალოს შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტის შეფასება - „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2026 წლის 27 იანვრის №72622 და №72649; 2025 წლის 05 დეკემბრის №1739995, №1740005, №1740016, №1740027, №1740035 და 2025 წლის 11 დეკემბრის №1776073 გადაწყვეტილებებში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში იყო ტექნიკური შეცდომები, კერძოდ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს:

- ,,ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (№2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის შესახებ“ 2026 წლის 27 იანვრის №72622 გადაწყვეტილების სათაურში, პირველ და მეორე პუნქტებში, ჩანაწერის ,,№2 საბავშვო ბაღი“ ნაცვლად უნდა იყოს ჩანაწერი - ,,№2 საბავშვო ბაგა-ბაღი“;
- ,,ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (№3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის შესახებ“ 2026 წლის 27 იანვრის №72649 გადაწყვეტილების სათაურში, პირველ და მეორე პუნქტებში, ჩანაწერის ,,№3 საბავშვო ბაღი“ ნაცვლად უნდა იყოს ჩანაწერი - ,,№3 საბავშვო ბაგა-ბაღი“;
- ,,ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის (სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1739995 გადაწყვეტილების სათაურში ჩანაწერის ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ ნაცვლად უნდა იყოს ჩანაწერი - ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის (სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740005 გადაწყვეტილების სათაურში ჩანაწერის ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ ნაცვლად უნდა იყოს ჩანაწერი - ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ ხიდისთავის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740016 გადაწყვეტილების სათაურში ჩანაწერის ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ ნაცვლად უნდა იყოს ჩანაწერი - ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ სამებას საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740027 გადაწყვეტილების სათაურში ჩანაწერის ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ ნაცვლად უნდა იყოს ჩანაწერი - ,,ავტორიზაციის შესახებ“;

- ,,ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ საჭამიასერის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740035 გადაწყვეტილების სათაურში ჩანაწერის ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ ნაცვლად უნდა იყოს ჩანაწერი - ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ კართუბნის №2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის შესახებ“ 2025 წლის 11 დეკემბრის №1776073 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად ,,58“-სა უნდა განისაზღვროს ,,30“-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:33
დასრულების დრო - 11:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2026 წლის 27 იანვრის №72622 და №72649; 2025 წლის 05 დეკემბრის №1739995, №1740005, №1740016, №1740027, №1740035 და 2025 წლის 11 დეკემბრის №1776073 გადაწყვეტილებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა ტექნიკური შეცდომების გასწორებასთან დაკავშირებით, დაკორექტირდეს შესაბამისი ჩანაწერები და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს:

- ,,ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (№2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის შესახებ“ 2026 წლის 27 იანვრის №72622 გადაწყვეტილების სათაურში, პირველ და მეორე პუნქტებში, ნაცვლად ,,№2 საბავშვო ბაღი“-სა განისაზღვროს ,,№2 საბავშვო ბაგა-ბაღი“;
- ,,ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (№3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის შესახებ“ 2026 წლის 27 იანვრის №72649 გადაწყვეტილების სათაურში, პირველ და მეორე პუნქტებში, ნაცვლად ,,№3 საბავშვო ბაღი“-სა განისაზღვროს ,,№3 საბავშვო ბაგა-ბაღი“;
- ,,ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის (სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1739995 გადაწყვეტილების სათაურში, ნაცვლად ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ განისაზღვროს ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის (სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740005 გადაწყვეტილების სათაურში, ნაცვლად ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ განისაზღვროს ,,ავტორიზაციის შესახებ“;

- ,,ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ ხიდისთავის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740016 გადაწყვეტილების სათაურში, ნაცვლად ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ განისაზღვროს ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ სამებას საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740027 გადაწყვეტილების სათაურში, ნაცვლად ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ განისაზღვროს ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ საჭამიასერის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ 2025 წლის 05 დეკემბრის №1740035 გადაწყვეტილების სათაურში, ნაცვლად ,,ავტორიზაციის საკითხის განხილვა“ განისაზღვროს ,,ავტორიზაციის შესახებ“;
- ,,ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ კართუბნის №2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის შესახებ“ 2025 წლის 11 დეკემბრის №1776073 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ნაცვლად ,,58“-სა განისაზღვროს ,,30“-ით.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 11:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე